

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნახ. ა. ვეფხვიძისა

შენი

№ 4. თბილისი. 1949 წ.

გამომცემლობა "ქობულენიტი" ქობულენი

გამომცემის ფალი XXVI.

ფასი 2 მან.



კოჭითხვითა და რახვის ნაწვრით

მემაქროს რაიონის სოფელ გუგუნიძის კოლმეურნეობის
თავმჯდომარის ახ. კვლეჯანჯანს!

ყოველ პატივცემულ ამხანაგო პაველ!
ნახევრად აღფრთოვანებულმა შევიტყე, რომ თქვენდამი რწმუნებულ კოლმეურნეობაში ზოგიერთ კოლმეურნეს შრომადღების გარდა ეწერება აგრეთვე მაჩვიდლები. ვთქვათ, მაგალითად, ტარასი წულაიას მოესურვა ტყისკენ გასეირნება, თან უსათუოდ წაიღებს თოფსაც. ზამთრის ამინდში ნადირობას რა სჯობს! სალამოს სახლში დაბრუნებული ტარასი მოიტანს რამდენიმე მკვდარ მაჩვი, ზოგს თავის მოკვლად, ზოგსაც სხვისგან უსასყიდლოდ ნაშოვნს. თქვენ აიღებთ და ყოველ მკვდარ მაჩვიზე დაუწერთ ორ შრომადღეს, რადგან მაჩვი მტაცებელი ცხოველია და მის მოკვდას საერთო სარგებლობა მოაქვს.

ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ თქვენ თქვენი მახლობელი კაცი დააჯიდლოვოთ, თუმცა ეს შეიძლება მონადირეთა კავშირმა თავის ფუნქციებში ჩარევად ჩასთვალოს და ეწყინოს!

ეგეც არ იყოს, ნუთუ ისეთი მოუხერხებელი ხართ, რომ მახლობელთა აშენებისათვის სხვა ხერხი ვერ გამოიხატოთ? სხვისგან მაინც აიღეთ მაგალითი, თუ გნებავთ თქვენი რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკის მიწათმომწყობ მიხეილ გიორგაძისაგან.


ამხანაგი მიშა შრომადღებს კი არა, ნაღდ ფულს ლებულობს იმის გამოცნობაში, რომ მრგვალი ნამდვილად მრგვალია (ნუ გაგიკვირდებათ, ეს გეომეტრია არ გახდავთ!). აღნიშნული ამხანაგი ხაზავს მრგვალი ბეჭდების ნიმუშს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ასწავლის, რომ მრგვალი ბეჭედი უნდა იყოს მრგვალი ფორმისა და შიგ კოლმეურნეობის სახელი ეწეროს. იგი ამ სწავლებაში გარკვეულ თანხას ლებულობს და სარჩო-საბადებელს იძენს...

შეიძლება დაჯიდლოების ეს ხერხი არ მოგწონთ? დაგისახელებთ სხვასაც: აიღეთ და თქვენი ნაცნობი კაცი შეიყვანეთ სტახანოველთა ბრიგადაში. იმუშავეს, ვთქვათ, ათი კაცი, მათგან ყველაზე ნაკლებს გამოიმუშავეს თქვენი შინაური, შემდეგ კი შესრულებულ სამუშაოსათვის კუთვნილი შრომადღეები სტახანოველებზეც და თქვენს შინაურზეც ისევე თანაბრად გაანაწილეთ, როგორც ამას გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობაში სჩადიან და თქვენი კაცი თავისთავად აშენდება!

თუ სოფელი ელექტროდენით ნათდება, შინაურის გამდიდრებას სულ იოლი ხერხით მიაღწევთ. დაავადეთ თქვენიანს, რომ თვეში ერთხელ ჩამოუაროს მოსახლეებს, გაახსენოს, რომ ელექტროსინათლის გადასახადის შეტანა აუცილებელია და ამ „საქმეში“, როგორც ამას იმავე მუკუზნის კოლმეურნეობაში აკეთებენ, 15 შრომადღე დაუწერეთ.

ასე, ჩემო ნახევრადგანაწყენებულ ამხანაგო... დაიხსრმეთ ყველა ეს ხერხი და ეცადეთ, რომ თქვენმა შინაურებმა საერთოდ ნაკლები ჭამადღეები „გამოიმუშაონ“.

დიდი ბოდიში შენუხებისათვის, თქვენი კეთილის მსურველი
ნიანგი




— მამამ დღეს უფრო მოზრდილი ჯოხი წაიღო, ვიდრე გუშინ. ეტყობა თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესის გარჩევა.

ვისი შვილია?

ნაბ. ი. ქოქიაშვილისა



— მამაჩემისა არ იყოს, ეს რადიოც რამდენიმე თვეა ხმას აღარ იღებს. ნეტა ამასაც ავტორების წყენინების ხომ არ ერიდება!



კოვბაკის შენაერთის პარტიზანთა შორის შეხვედრებით ყოველგვარი პროფესიის ადამიანებს: აქ იყვნენ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, მასწავლებლები, პოეტები, მხატვრები, დურგლები, კალატოზები და, წარმოიდგინეთ, იყო ერთი ცირკის მსახიობიც კი.



სამწუხაროდ, ამ ცირკის ხუმარის გვარი და სახელი არ დამახსოვრდა. არც დღიურში მაქვს არსად ჩაწერილი. მარტო ისლა მახსოვს, რომ ის ქალაქ ომსკიდან იყო და პარტიზანები შეტსახელად „ადას“ ეძახდნენ.

ამ სახელს ის იმდენად შეეჩვია, რომ ნამდვილი სახელით და გვარით რომ მიგემართნა—იქნებ არც კი მოეხედა.

ჯერ ის მინდა ვითხრათ, საიდან დაერქვა მას ეს სახელი. ადრე, ვიდრე პარტიზანობას დაიწყებდა, ის მოქმედ არმიაში იყო. ცხარე ბრძოლის დროს მას თურმე კონტუზია დაემართა. ამან ჩქარა გაუარა, მაგრამ საწყალ ბიჭს ენის ბოროტი დასჩემდა; როცა აღელდებოდა, ან ჩქარობდა, ან შეწუხდებოდა—მაშინ თითქოს რაღაც გაეჩხირებოდა ყელში, შოშისავით აღებდა პირს და სიტყვა ვეღარ ამოეღო, თითქოს მარწუხით ეწევა სიტყვას ყელიდანაო. მერე უცებ წამოიძახებდა „ა-და“ და სიტყვას გზა გახსნილი ჰქონდა. ასე რომ, ეს „ადა“. თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი მეტყველების გასაღები იყო. ამ „ადას“ რომ წარმოსთქვამდა, მერე თუ გინდა მთელ მოხსენებას ჩაარაკრავებდა.

აი ამიტომ მას „ადას“ ეძახდნენ.

ეს ადა ისეთი ხუმარა იყო, რომ სადაც ის გამოჩნდებოდა და ორიოდ სიტყვას იტყვოდა—სიცილ-ხარხარი ატყდებოდა ხოლმე. პარტიზანებს უკეთესი გამართობი არა ჰყავდათ და არც ენატრებოდათ. თუ სადმე ტყეში ხმამაღალი სიცილ-ხარხარი ისმოდა—უნდა გცოდნოდეთ, რომ ადა იქ იყო.

სიცილისაგან ქანცაწყვეტილ კოვბაკს ვინ იცის რამდენჯერ წამოუძახნია:

—თვალთ არ დამანახოთ ეგ ეშმაკის ფეხი, აღარ შემიძლია, თავი მტკივა ამდენი სიცილითაო...

—ახ, ნეტა ერთი ჩემი ცოლი აქა მყავდეს,—იტყოდა ხოლმე ადა,—ისიც ცირკის მსახიობია, ისიც ჯარშია ახლა. აბა მაშინ გენახათ სიცილი, ისეთ ნომერს ვიჩვენებდით, რომ თქვენი სიცილი იქნებ ფრონტის გადაღმაც გაეგონათ...

ამ თავისი ხუმრობის გამო ადას ერთხელ ძალიან ცუდი ამბავი შეემთხვა: საწყალი მაგ-

რად გაილახა, მათრახებით ზურგი აუჭრელეს პარტიზანებმა.

საქმე ასე იყო: უკრაინაში, სოფელ ტოლსტოი-სადის მახლობლად ტყეში ვიყავით, როცა ვერშიგორამ კულბაკას უბრძანა—ყოველი მხრით მზვერავები დაგზავნე, ცნობები შეაჯამე, დააზუსტე და მერე ყველაფერი მომახსენეო. კულბაკამ გამოჰყო მზვერავთა ჯგუფები და სხვადასხვა მხარეს დაგზავნა. ერთ ჯგუფს ადაც გაჰყვა. თურმე როცა ადას ჯგუფი ბანაკიდან მოშორებით გზატკეცილზე გავიდა—მზვერავებმა მტრის მსუბუქი ავტომანქანა შეამჩნიეს. ჩაუსაფრდნენ. მანქანა რომ მოუახლოვდათ ერთდროულად ძლიერი სროლა აუტეხეს და მოჰკლეს შოფერიცა და მანქანაში მჯდომი გერმანელი პოლკოვნიკიც. მოკლულ პოლკოვნიკს საბუთებს რომ აცლიდნენ, ადას რაღაც ეშმაკურმა აზრმა გაურბინა თავში, საჩქაროდ გადაიკვა გერმანელი პოლკოვნიკის მუნდირი, დაიკიდა მისი ორდენები, დაიკრა პაგონები და მერე ამხანაგებს შეეხვეწა:

—ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, მოდი კულბაკასთან ასე მიმიყვანეთ. უთხარით, პოლკოვნიკი დავიჭირეთ ტყვედა-თქო... დანარჩენი ჩემზე იყოს...

ბიჭებმა შეჰხედეს და სიცილი წასკდათ. ადა მართლაც ძალზე ჰგავდა გერმანელ პოლკოვნიკს: ინდაურივით იფხორებოდა, ბნედიანივით წამოისროდა ხოლმე თითო-ორი სიტყვას და სტეკს მალიმალ იტკაცუნებდა გაპრიანებულ ჩექმის ყელზე.

და აი წამოიყვანეს ბანაკში „გერმანელი პოლკოვნიკი“.

ბანაკში სწორედ იმ დროს მოვიდნენ, როცა ის იყო ბინდებოდა. კულბაკა პარტიზანებს შორის იღვა და რაღაცას ესაუბრებოდა. კულბაკას ჯგუფში ოცდაათამდე კაცი იყო. ყველამ დაინახა, რომ მზვერავებს გერმანელი პოლკოვნიკი მოჰყავდათ. „პოლკოვ-

ნიკი“ ამაყად მოაბიჯებდა პარტიზანებს შორის, აი მოახლოვდა კიდევ, თავხედურად გაარღვია პარტიზანების წრე, ერთ მებრძოლს ხელი ჰკრა, მეორეს მუჯლუგუნი უთავაზა, მესამეს წიხლი ამოჰკრა, მერე წრეში შეიჭრა, ორი თითი მალლა ასწია და სამჯერ ისტერიულად წამოიკვილა: „ჰაილ, ჰაილ, ჰაილ.“

გაბრაზდნენ ბიჭები, რისხვის ალმურმა გადაუარათ სახეზე, მოდი და ნუ გაბრაზდები: ეს ოხერი და მუდრეგი ტყვედ იყო ჩავარდნილი და მაინც დახე როგორ თავხედობდა! ვილაკამ ისეთი მადლიანი სილა უთავაზა, რომ პოლკოვნიკი ლავაშივით მიწას გააკრა, მეორემ მათრახი გადაჰკრა; „ადას“ ამხანაგებმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს, რომ მათ მიერ მოყვანილი „მოგნე“ უკვე მიწაზე იყო გაშხლართული, ხოლო თვითონ ადას, როგორც ყოველთვის სჩვეოდა ხოლმე აღელვებისას, სიტყვა ჩაუწყდა და ბოლოს როცა კარგად მიტყვიპეს—უეცრად გაისმა „ა-დაა“... ახლა კი ყველაფერი გამოირკვა.


შეეცოდათ ბიჭებს ტყუილ-უბრალოზე გალახული ადა, მაგრამ კულბაკამ მას უთხრა: —აი, რას გეტყვი, ძმობილო! უნდა იცოდდე სად და როდის იხუმრო! აბა, დაზვერვის დროს ხუმრობა ვის გაუგია, შე კაი კაცო, ხომ ხედავ ამ შებინდებულზე ბიჭებმა მართლა გერმანელ პოლკოვნიკად მიგიღეს... უადგილო და უდროო ხუმრობას მუდამ ასეთი შედეგი მოყვება.

ამის შემდეგ ადას ხუმრობა არ მოუშლია, მაგრამ მუდამ წინდახედულებას იჩენდა.

მართალია ადას ასეთმა ტანსაცმელის გადაცმამ უსიამოვნება შეამთხვია, მაგრამ როცა პარტიზანმა ვასია რიაბოიმ ამავე ხერხს მიმართა, მაშინ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.



§) ვბეჭდავთ ერთ თავს საბჭოთა კავშირის გმირის დავით ბაძრაძის წიგნიდან „გმირთა სისხლით“. წიგნი მთლიანად იბეჭდება „მნათობის“ ფურცლებზე.



ჩრდილო ატლანტიკის... ~~ჯაქბი~~

ფილიპ ალან

ვიკოვე

— ბოდიში, მეგობარო, ხომ არ გეკნება ხუთი ცენტი? ყავა მინდა დაკლიო! მე თვით ვიყავი ერთ დროს ჟურნალისტი... ვინ არ იცნობდა ჰერსტის საუკეთესო რეპორტიორს—ლოიდ რიბსონს! ეხ, მეც მქონდა ხოლმე გროშები... ძნელია ჩემთვის მათხოვრობა... რა მომივიდა?! ო, ეს გრძელი ისტორიაა, მაგრამ თუ კი გასურს მომისმინო...

გამომიძახა ერთხელ რედაქტორმა და მეუბნება.

— ლოიდ! (ის ყოველთვის სახელით მომმართავდა), მე დავალება მაქვს თქვენთვის. შეასრულეთ იგი, როგორც საჭიროა, და ვიზრუნებ თქვენზე..

— არის, სერ!—გუპასუხებ მე,—რაც არ უნდა იყოს, თქვენი არჩევანი ერთგულ კაცს ხვდა წილად:

— თქვენ იცით რომ ჩვენ ბევრი ვებეჭდეთ საბჭოთა კავშირის შესახებ,—განაგრძობს რედაქტორი,—მაგრამ აი, რას მოვითხოვ ამჯერად თქვენგან; ჩვენ გვინდა რუსი უმუშევრის პირადი ნაამბობი. დაე, აღწეროს მან როგორ გუნებახება. მე მინდა რაიმე, რაც შეიძლება გაიშვას ასეთი სათაურის ქვეშ:

„რუსი უმუშევარი ჰყვება ყველაფერს—უკლებლივ ყველაფერს ჰერსტის გაზეთებისათვის“.

—თქვენ მიმიხვდით, ლოიდ!

— მიგიხვდით სერ; საჭიროა პირველ პირში მოთხრობილი ისტორია ვინმეს მიერ, აი, იმ ჰაბუკუნის მსგავსად, ქუჩაში რომ ჰკრეფენ ნასუფრალს სანაგვე ყუთებიდან.

— არა, ლოიდ!—მაწყვეტილებს რედაქტორი,—მე თქვენ რუსეთში ვაგზავნი.

—დიან, დიან, რა თქმა უნდა რუსეთში! მე მხოლოდ იმის გამოხატვა მინდოდა, რომ ყველაფერი მშვენივრად გაიგივება.

— ჰო და შესანიშნავია, გავმგზავრეთ!

მოსკოვში ჩამოსვლისთანავე მიველ ერთ კაცთან, რომლის მისამართიც ჩემმა რედაქტორმა მომცა; მაგრამ ის ვერ დამეხმარა.

— ძლიერ ვწუხვარ, რომ ვერაფრით გეხმარებით თანამემამულეს,—თქვა მან—მაგრამ უმუშევარი არავინ ვიცი აქ. ყოველ შემთხვევაში ქალაქში არ ჩანან—ისევე სოფლებში მოსძებნეთ.

ჰო და მივაშურე სოფლებს. ერთხელ ერთ მიყრუებულ სოფელში მოვხვდი. მთელი ჩემი ცოდნა რუსული ენისა ლექსიკონებიდან მქონდა ამოკრფილი. არც ვა-

ციე და არც ვაცხელე, პირველსავე შევივადრს მივახალე:

— უმუშევარი ხართ?

ის კი თავითფხებამდე მათვლიერებს და მეკითხება:

— თქვენ სამუშაოს ეძებთ?

მე მივხვდი რომ ბედმა არ გამილიმა, მაგრამ მაინც ვცადე ხელახლა:

— თქვენ უმუშევარი ხართ?

ჰაბუკი მიყურებს და იცინის:

— მევე?! ეგ საიდან მოგივიდათ აზრად?

მაშინვე მივხვდი, რომ მისამართი ამერია, აღარა მიკითხავს რა და პირველივე მატარებლით გამოვემგზავრე.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, ამის შემდგომ მთელი რუსეთი შეპოვიარე რამდენიმე თვეში სიგრძესიგანებზე, მაგრამ უმუშევარი ვერ ვიპოვე, რა თქმა უნდა, მე შემეძლო დამეწერა გულსამაჩუყებელი ისტორია რუსეთში ჩამოუსვლელოდაც; არც რედაქტორი დაუწყებდა შემოწმებას სხვა შემთხვევაში, მაგრამ მას უკვე ბევრი ჰქონდა დაბეჭდილი მსგავსი „უაქტები“, და ახლა „ჰეშმარიტება“ მოისურვა და თვით მალაღმა ღმერთმა მიბრძანა მე მისი პოენა.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა მივაგენი კვალს და ისევე ისე ძველ ლოიდ რიბსონად ვიგრძენი თავი. ერთმა უკრაინელმა ხელოსანმა მიაბო, რომ მისი ნათესავი სისტემატურად წერდა თავისი უმუშევარი ცოლისძმის შესახებ. ხელოსანმა თავისი ნათესავის შესახებ არაფერი იცოდა გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი სამიათასი მილის სიშორეზედ ცხოვრობდა. სამიათასი მილი.. დიდი მანძილია, მაგრამ თუ კი შენ მთელი რუსეთი შემოიარე უშუდგოდ, აღარ დაგაფიქრებს მანძილი, მით უმეტეს, რომ ყველა სამივლინებო ხარჯებს გინახლავრებენ.

მე გავემგზავრე. ეს ნათესავი ცხრამთას იქით დასაკარგავში ცხოვრობდა, სადაც არც რკინიგზა უდგება და არც საავტომობილო შოსე. მაგრამ მე ის ვიპოვე. ის მუშაობდა და მღეროდა თავისი ბოხი ხმით. მიგუახლოვდი და ვკითხე:

— მშვიდი ხარ? (ახლა უკვე ჩემი რუსული ენა რუსულს ჰგავდა და ხელად გამიგო).

— საშინლად!—მიპასუხა მან.—ასეთ სამუშაოსგან

ვის არ გავხსნება ჰამის მადა. შემოდი და დაჯექ მოქალაქე, წავისაუზმოთ!

როცა ამ ახალგაზრდა კაცის ჰამას ვუყურე, უცებ მივხვდი რომ არ შეიძლებოდა გამხდარიყო ავტორი პირველ პირში დაწერილი მოთხრობისა დამუშეული უმუშევრის შესახებ. ცოლისძმის ამბავი ვკითხე.

ჰაბუკმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— საცოდავი!—წარმოსთქვა მან,—აგერ ექვსი თვეც არის უმუშევარი.

ცრემლი მოიწმინდა. კინაღამ ავტირდი მისი შემხედვარე, მაგრამ ამავე დროს იმდენად ვიყავი ალტყინებული მიგნებული კვალით, რომ ენა დამეება

— ეს საშინელებაა!—წარმოვსთქვი ბოლოს და მისივე შევუდექი საქმეს.—სად ცხოვრობს თქვენი ცოლისძმა.—მე შემიძლია მისი დახმარება.

— ოო, მოქალაქე, ის ძლიერ შორს ცხოვრობს!.. აბა რას ნიშნავდა ჩემთვის სიშორე. მე მისამართი ვთხოვე.

— კონვერტს დავხვდავ,—ამბობს ის და წერილების გროვაში იქექება.

ბოლოს და ბოლოს ის იპოვნის და გამომიწოდებს კონვერტს მისამართით. მე ვიწყებ მისამართის გადაწერას და—დასწყევლოს ეშმაკმა! კინაღამ ვვარდები სკამიდან და გაშტერებული ვკიახულობ:

„ვასილ მათეს ძე. საფოსტო განყოფილება. ყუთი № 8. სელინა. კანზასი.“

— ეხ,—შეგძახე მე,—ეს ხომ კანზასიდანაა! ამერიკიდან!

ჰაბუკმა თავი დამიქინა:

— ჰო, იქა ცხოვრობს!

— ჰო და, მაშ რაღა დავგრჩენია მეგობარო? მე ვუდებქვე ჩემს რედაქტორს:

„ვიპოვე ერთადერთი უმუშევარი რუსი წრტ სახელად ვასილ მათეს-ძე წრტ მისამართი—სოფელი კანზასი წრტ როდის დავბრუნდე“.

პასუხად ვღებულობ:

„ჯანდაბადდეც ჰქონია გზა წრტ ეძებე სხვა სამუშაო!“

ბოდიში, მეგობარო, ხომ არ გეკნება ხუთი ცენტი? ყავა მინდა დაკლიო.



შუმახერის ქაქანა მგლახნელი საგაზეთო სტატიას ამზადებდა. თემა ჩვეულებრივი გახლდათ— „წითელი საფრთხე და ჩვენი ამოცანები“. დიდხანს აწვალა კალამი, ახალი არაფერი გამოუვიდა. ატომიდან იწყებდა და ატომითვე აბთავრებდა. გაოფლიანებულს ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე და ცეტივით წამოიძახა:

— ეგრიკა! გაუმარჯოს სპირიტისმა!

საგანგებო შემოხაზული ქალაღი მოძებნა, ზედ ჩაის ლამბაქი დაამხო, თითი დააჭირა და დაიწყო:

— ჰერ გებელს!.. ჰერ გებელს!.. უმორჩილესად გთხოვთ დამეხმაროთ. ახლა, როგორც მე, გერმანიასაც ისევე სჭირდება თქვენ

დახმარება... ჰერ გებელს, უმორჩილესად გთხოვთ... — ვინა ხართ, რა გინდათ? — უპასუხეს საიქიოდან.

— ჰერ გებელს, ანტისაბჭოთა სტატიას ვამზადებ. თქვენისთანა გამოცდილი კაცის დახმარება მჭირდება. მაპატიეთ რომ გაწუხებთ...

— გამოცდილი კაცის დახმარება გჭირდებათ? დიდი სიამოვნებით, ჩაწერეთ... ატომური ომის აუცილებლობას თვით ღმერთი ამტკიცებს. ომის გარეშე მშვიდობა აბსურდია. თუ გვინდა ვიარსებოთ, ახალდაბადებული ბავშვიც კი სალდათს უნდა ჰგავდეს. ატომი, ატომი და კვლავ ატომი!

— ატომი მეც ვიცი, ჰერ გებელს,

სხვა რამ მითხარით! — მიმართა შუმახერის მგლახნელმა.

— რა იცი, ბიჭო, შენ, შენისთანა ლაწირაკის ცოდნა ამ საქმეს ვერაფერს შემატებს... ჩაწერე... რატომ შიათ ფრანგებს, ბერძნებს, იტალიელებს? იმიტომ, რომ წითელი საფრთხე არსებობს. რისთვის გვესაჭიროება ჩვენ უამრავი ატომური ბომბები? იმიტომ, რომ ფრანგებს, ბერძნებს და იტალიელებს არ მოშვიდეთ. თითოეულ ქალაქს ათი ბომბი! ნაფოტებად უნდა ვაქციოთ მოსკოვი, კიევი, ლვოვი, ვარშავა, ლეიპციგი, ჰამბურგი და თვით ბერლინიც კი!

— როგორ გეკადრებათ, ჰერ, თქვენ გერმანიასაც კი არ ინდობთ? — გერმანია რალა ყოფილა!

— ჰერ გებელს, ყურებს არ

სჯერა, ნუთუ თქვენ გერმანია გაიმეტეთ?

— გებელსმა გერმანია დიდი ხანია გაიმეტა, მეგობარო!

— ეს რალას ნიშნავს, ვინ მელაპარაკება, ნუთუ თქვენ გებელსი არა ხართ!

— რალა დროს გებელსია, ანტისაბჭოთა პროპაგანდას ახლა გებელსს ვინლა ჰკითხავს! გებელსი კარგა ხანია მოღაში აღარ არის.

— მაშ თქვენ ვინ ბრძანდებით?


— მე ჩერჩილის აჩრდილი გახლავართ. მალე თვითონ მისტერ ჩერჩილი მობრძანდება აქ. მანამდე კი მე გამომგზავნა საიქიოში, ომის გამჩალებელთა უსტაბაშად.

8ია

ისნაპლიან კი?

ნახ, დონისა

თბილისის თოჯინების თეატრის მმენებლობა კიანურდება.



ეს არის აგური, ეს არის ქვიშა, ყოველდღე ახწავლის თოჯინებს გრიშა, მაგრამ თოჯინებს რალა ეშველებათ, თუ მათ ვერ ისწავლეს თეატრის შენება?

სახსლზე ნავთი

ჩემი მეზობლის ოთახს უეცრად ცეცხლი გაუჩნდა. ტელეფონის ძებნა საკმაო დროს მოითხოვდა, ამიტომ გადავწყვიტე საკუთარი საშუალებებით შევბრძოლებოდი ხტიქიას. ის იყო ონკანს მიკვარდი, მაგრამ წყალი გაუჩნული აღმოჩნდა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვერაფერი გავაწყე, ცეცხლი კი ჩემს ოთახსაც ემუქრებოდა.

— ხველი ტომარა, სველი ტომარა, — ყვიროდა ერთი.

— არიქა, ჩქარა, ტელეფონით დარეკეთ, სახანძრო რაზმს შეატყობინეთ, თორემ ვიღუპებით, — შევძახე მეორე მეზობელს.

— ამ ბოთლებში რა ასხია? — მკითხა მან დერეფანში დალაგებულ, ჩამწკრივებულ ბოთლებზე.

— ნავთია, ამ დხლით ვიყიდე.

— საწყობიდან?

— არა, ქუჩაში, კასრებით რომ დაატარებენ.

— ოო, კარგია, ეგ ხომ მთლად წყალია! — შემომძახა მეზობელმა, ბოთლებს და სანავთეს ხელი წამოავლო და პირდაპირ ხანძრის კერას მიაშურა.

— რას შვრები კაცო, არ დამლუბო, რა დამიშავებია, ძმაო, შენთვის, რომ ცეცხლზე ნავთს მისხამ.

— ნუ გეშინია, — მომძახა მან და მთელი კვირის მარაგი ნავთი ცეცხლს გადაასხა.

ხუთი წუთის შემდეგ ხანძარი ლიკვიდირებული იყო.

კ. გელათელი

სახლი გზისპირას

მესხიშვილის ქუჩა № 8. სახლი დანგრეულია. აქა-იქ დამპალი დირეები. ყოფილი ყვავილების მაღაზიის ნარჩენებიდან — ბალახი ამოსულა... ქუჩის ამ ნაპირას ხალხი იშვიათად დადის.

ეს შაუმიანის მოედნის კუთხე გახლავთ. მშენიერ ადგილად ითვლებოდა, ვიდრე აქ აღმართული შენობა „ცოცხალი“ იყო. მაგრამ უყურადღებობამ, ურემონტობამ წუთისოფელს გამოასახლმა, ჩაანგრია ეს შენობა. მცხოვრებნი გაიხიზნენ, სავაჭროებმა თავს უშველეს და დარჩა მხოლოდ მოსაპარ-დასატაცებელი მასალა. ახლა აქ გაუვალი სანაგვეა. მახლობლად მცხოვრებნი შიგ ღორებსა და ხბოებს ამწყვდევენ, აგურებს იტაცებენ, — ერთი სიტყვით „რაციონალურად იყენებენ“ იმ საცოდავ სახლს.

— მერე შისი დაცვა, გადარჩენა, აღდგენა? — იკითხავს ნინაგი.

რა მოგახსენოთ: მაგ მიწით აქ ოციოდე კოშისია მაინც მოსულა: ეს კოშგანიდანო, ეს სანისსპეკციიდანო, ეს არქიტექტურულია და ასე ხშირად.

ყველა ამის შედეგი ჯერჯერობით ის არის, რომ ამ ნანგრევებში მხოლოდ ნავაგს ურჩან და შიგ ცხოველებს ამწყვდევენ.

აკ. სხვაგვარი

ბანათიბა და ბანათილაბა

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას ხშირად სინათლე არა აქვს.

ნახ. ა. კანდელაკისა

სინამდვილიდან



— სად მიდის სანთლებით ეს ხალხი, ძველი „ბზობა“ გახსენებიათ? — არა, საჯარო ბიბლიოთეკაში მიდიან!


ამერიკული ჰაიკია

ნახ. გ. ლომიძისა

ღმერთებისგან დასჯილ ფინევსს, როგორც კი იგი სუფრას მიუჯდებოდა და საჭმელს ხელს ახლებდა, მაშინვე თავს დაესხმოდნენ საშინელი ფრინველები—ჰარპიები, რომლებიც მას უზარმაზარი ნისკარტებით და ბრტყალებით სტაცებდნენ საჭმელს.

„ყოველი მეშვიდე ამერიკელი შიმშილობს“...

ელეონორა რუზველტის სიტყვიდან



ამერიკული არწივი სისხლისმსმელია, ხარბია, ხალხს ლუკმას სტაცებს პირიდან, როგორც ზღაპრული ჰაიკია, ხადაც მიუწვდა ბრტყალები ქვეყნები მიმოარბია.

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

სელმოწ. დასაბ. 1949 წ. 18/II. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერაას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შუკ. № 214. ლენინის, ქ. № 14. დაბეჭდილი სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე. შუკ. № 490. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 27, ტირ. 7600 უფ 00970.